



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი, ევრაზიის სატრანსპორტო, ენერგეტიკული და ტელესაკომუნიკაციო დერეფნის განვითარების ხელშემწყობი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. 1993 ევროკომისიის კონფერენციის გადამწყვეტილებით საქართვე. გახდა TRACECA-ს (სატრანსპორტო დერეფანი ევროპა-კავკასია-აზიისათვის) სახელმწიფოთაშორისი პროგრამის ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა. საქართვე. პრეზიდენტის 1996 წ. ბრძანებულებით შეიქმნა ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საპრობლემო ცენტრი, რ-ის ბაზაზე შემდგომ ჩამოყალიბდა ე. ს. დ. ს. ც. (ფუნქციონირებს 2000 წ. 1 მაისიდან). ცენტრის საქმიანობის მიზანია: სატრანსპ. დერეფნის საინვესტიციო პროექტების მომზადება და მათ განსახორციელებლად ინვესტიციების მოზიდვა, სატრანსპ. დერეფნის ტერიტორიაზე ეკონ. განვითარების ზონების დაპროექტება, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების პროექტთა მომზადება, საინვესტიციო-საკონსულტაციო და საექსპერტიზო საქმიანობა, საერთაშ. საფინანსო ორგანიზაციების მიერ სატრანსპ. დერეფნისთვის გამოყოფილი საკრედიტო რესურსების მართვა. წლების მანძილზე ცენტრი საქმიანობს უცხ. ინვესტიციების მოზიდვისა და სატრანსპორტო პროექტების მართვის სფეროში. მსოფლიო ბანკის სატრანსპორტო პროექტებია: ტრანსპ. რეფორმის (1996-2001), საქართვე. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტროს რესტრუქტურის (1998-2003), საავტ. გზების (2000-05), შიდასახელმწიფო და ადგილობრივი გზების (2004-11), აღმ.-დას-ის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის (I-III პროექტი; 2006-13), ვაზიანი-გომბორი- თელავის გზის (2009-13), აზიის განვითარების ბანკის (ქ. ზესტაფონისა და ქ. ქუთაისის შემოვლითი გზები; 2010-14), იაპონიის განვითარების ასოციაციის (ქ. ქობულეთისა და ქ. ბათუმის შემოვლითი გზები; 2010-15) და სხვა პროექტები. ცენტრი ახორციელებს აგრეთვე იაპონიის, ჰოლანდიის, აშშ-ის მთავრობათა მიერ გამოყოფილი გრანტების ათვისების მართვას.

